ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

უცნობი
მილიონი ლარი

მონიტორინგი

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
მაისი, 2014 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

1. საკითხის ანალიზისთვის
2. საკითხის ფაქტობრივი მხარე
3. დასკვნა
4. სარეკომენდაციო ნაწილი

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

1. საკითხის ანალიზისთვის

2011 წლის 5 ივნისს, საქართველოს კულტურული ცხოვრება ერთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ მთლიანად შეცვალა. თბილისში ჰოლივუდის მსახიობები: შერონ სტოუნი, ენდი გარსია და რენე ჰარილნი ჩამოვიდნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კინოთეატრ „რუსთაველში“ რუსეთ–საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ მომზადებული ფილმის პრემიერაში: „აგვისტოს 5 დღე“. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა, ფილმის პრეზენტაციის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო საღამოზე, 2008–2012 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, კობა ნაყოფია, განსაკუთრებული სიტყვებით დაახასიათა და ფილმის შექმნაში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა განაცხადა: „ამ ფილმის გადაღების დროს და მერეც, კობა ნაყოფია იყო ყველაფერი, მინდა განსაკუთრებით გამოვყო ფილმის შექმნაში მისი წვლილი. კობა ნაყოფია იყო მთავარი ფიგურა, რაც ამ ყველაფერს ეხებოდა. მას აღმოაჩნდა ძალიან დიდი გული, დიდი სიყვარული საკუთარი ქვეყნის”. მოგვიანებით, მედიაში თავად კობა ნაყოფიას ინტერვიუც გაჩნდა, რომელმაც „აგვისტოს 5 დღე“ 20 მილიონ დოლარის ღირებულების პროდუქტად შეაფასა.[2] ამასთან, ინტერნეტში ხელმისაწვდომი გახდა გადაღებული ფილმის ორი საპროდიუსერო კომპანიის – ამერიკული „რექს მედია“ და „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ფილმის“ არსებობის შესახებ.[3] ყოფილი პარლამენტარის 2013 წლის დეკლარაციის თანხმად, შვილი – ნიკოლოზ ნაყოფია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ფილმის“ პარტნიორი გახლდათ, კომპანიას კი რეგისტრაცია გავლილი ჰქონდა კალიფორნიაში, 2009 წლის 1 იანვარს. ყოფილმა პარლამენტარმა, დოკუმენტური ფილმის მომზადებისთვის, ერთ–ერთ ფინანსურ წყაროდ, ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ფინანსური თანამონაწილეობაც დაასახელა.[4]

საქართველო ჰოლივუდის მსახიობებმა 2011 წლის 6 ივნისს დატოვეს, რასაც წინ უზღვოდა ისტორიული პრემიერის შემდგომ გამართული საქველმოქმედო ვახშამი. საქველმოქმედო ვახშამის ოფიციალურ მასპინძელად დასახელდა „საქართველოს ბიზნეს ასოციაცია“, ხოლო ასოციაციის მხრიდან 2011 წლის 20 სექტემბერს გამართული პრესკონფერენციის თანახმად, ვახშამზე 1.5 მილიონი ლარი შეგროვდა.[5] აღნიშნულ ბრიფინგზე, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ 5 ივნისს გამართული საქველმოქმედო ვახშმის გენერალური სპონსორები – „საქართველოს ბანკი,“ პლატინის სპონსორი – „რუსთავის აზოტი“, ოქროს სპონსორი – „მადნეული“ და „კვარციტი“, ხოლო ვერცხლის სპონსორი – „სილქროუდ ჯგუფი“ იყვნენ, გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე დასასწრები ბილეთები კი, 5 ათასი ლარიდან 10 ათას ლარამდე ღირდა. საქველმოქმედო ვახშამი რუსთაველის თეატრში გვიანობამდე გაგრძელდა და მას პოლიტიკოსებთან ერთად, ბიზნესმენებიც ესწრებოდნენ. მედიის ინფორმაციით, ვახშამი 160 სტუმარზე იყო გათვლილი.[6]

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტის განცხადებით,[7] რუსთაველის თეატრში გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე შეგროვილი 1.5 მილიონი ლარიდან, 1 მილიონი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებზე გადანაწილდებოდა. ასოციაციის შეფასებით, მათ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან – თავდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროსთან – მჭიდრო თანამშრომლობით რამდენიმე თვის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების წარმომადგენელთა სრული სია შეადგინეს. სიაში, სულ 400–მდე ოჯახი აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეული, ერთჯერადად 2500 ლარს მიიღებდა და მიმდინარეობდა კიდევ რამდენიმე ოჯახის დაზუსტება. ასოციაციის პრეზიდენტის განცხადებითვე, 1.5 მილიონი ლარიდან დარჩენილ თანხას, 500 ათას ლარს კი, ასოციაცია 2011 წლის ბოლოს დაგეგმილ მორიგ საქველმოქმედო

[2] http://www.netgazeti.ge/GE/43/culture/4146
[3] http://www.imdb.com/title/tt1486193/companycredits
[4] http://www.netgazeti.ge/GE/43/culture/4146
[5] http://netgazeti.ge/GE/74/News/6096
[6] http://ghn.ge/news-44069.html
[7] ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი ჭირაქაძის 2011 წლის 20 სექტმბრის ბრიფინგი.

ღინისძიებაზე გამოიყენებდა, რომელიც კვლავ აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებას მოემსახურებოდა.[8] კითხვაზე: „უკვე მიიღეს თუ არა დაღუპულთა ოჯახებმა დახმარებები“, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს მიუთითა, რომ იმჟამად დასრულების ეტაპზე გახლდათ გარდაცვლილთა ოჯახების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, თანხების გაცემა კი 2011 წლის აგვისტოში მოხდებოდა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ , რომელიც იძულებით გადადაგილებულ პირთა სოციალურ და სამართლებრივი საკითხების ადვოკატირებით მუშაობს, 2013 წლიდან საკითხის შესწავლით დაინტერესდა. ორგანიზაციამ მიზნად დაისახა 2011 წლის ივნისში გამართული საქველმოქმედო ვახშამიდან შემოსული 1.5 მილიონი ლარის ადგილნაცვალი პირებისთვის გადაცემის ფაქტის ნამდვილობის შესწავლა და ამ პროცესში დასახელებული სამთავრობო უწყებების თანამონაწილეობის დადგენა, ვინაიდან არაერთ ადგილნაცვალ პირთან გასაუბრების შემდეგ, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფმა მიიღო პასუხი, რომ მათ ფილმის პრემიერის შედეგად გამართული საქველმოქმედო საღამოდან შემოსული, ხოლო შემდეგ საჯაროდ დაპირებული თანხა არ მიუღიათ. ბევრი ადგილნაცვალისთვის საერთოდ უცნობი აღმოჩნდა მათთვის დახმარების სახით გადასაცემი თანხების მიმართ მოლოდინიც. გაჩნდა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ საქველმოქმედო ვახშამი, „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ ინიციატივის ნაცვლად, ხელისუფლების ღონისძიება გახლდათ, საიდანაც შემოსული თანხა, ადგილნაცვალი პირების დახმარების მაგივრად, საღამოს საორგანიზაციო საკითხებს, მთლიანობაში კი ყოფილი მმართველი პარტიის ინტერესებს მოხმარდა.

[8] http://netgazeti.ge/GE/74/News/6096

2. საკითხის ფაქტობრივი მხარე

ორგანიზაციამ 2013 წლის 12 ივლისს, წერილობით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და რენი ჰარლინის ფილმ „აგვისტოს 5 დღის" თბილისური პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშამის შედეგად შემოსული თანხით, ადგილაცვალი პირების დახმარების ფაქტი შესახებ არსებული ინფორმაცია მოითხოვა.

სამინისტროს მიმართ მოთხოვნილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
2. **რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშამზე შემოსილი თანხების ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების შესახებ?**
3. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, საქველმოქმედო საღამოდან რა რაოდენობის თანხა დაერიცხა თქვენს სამინისტროს და რა საჭიროებებისთვის იქნა გამოყენებული აღნიშნული ფინანსები?**
4. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, უზრუნველყო თუ არა თქვენმა სამინისტრომ ადგილნაცვალი 400 ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებისთვის, რომელთა მიმართაც, გადანაწილებულ უნდა ყოფილიყო საღამოზე შემოსული თანხა?**
5. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სამინისტროს რომელი დეპარტამენტი, სტრუქტურული რგოლი და უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფდა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებთან კომუნიკაციას?**
6. **თუკი საქველმოქმედო საღამოში სამინისტროს მონაწილეობა დაუდასტურებელი ფაქტია, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობთ, ადგილნაცვალი პირების დახმარების მიზნით 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხების განაწილების/ადგილანცვალი პირების დახმარების შესახებ?**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 13 აგვისტოს #01/01–25/43683 წერილის თანახმად, ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილ იქნა შემდეგი სახის შეტყობინება: „თქვენი წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში, რენი ჰარლინის ფილმის „ აგვისტოს 5 დღე“ პრემიერის შემდეგ გამარტულ საქველმოქმედო ვახშამს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში რაიმე სახის ინფორმაცია არ მოიპოვება.“[9]

ორგანიზაციამ 2013 წლის 19 აგვისტოს, წერილობით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქველმოქმედო ვახშმის შედეგად შემოსული თანხით ადგილაცვალი პირების დახმარების პროცესში თანამონაწილეობის ფაქტი დააზუსტა. ამასთან, მიმართვაში აღინიშნა **2011 წლის 21 სექტემბერს, გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნებული სტატიაც: „საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხა ომში დაღუპულთა ოჯახებზე გადანაწილდება“, სადაც გადმოიცა შემდეგი ინფორმაცია: „აგვისტოს ომში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახის წევრების შესახებ ინფორმაცია ბიზნესასოციაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, შს სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან თანამაშრომლობით მოიძია“.**

[9] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2013 წლის 13 აგვისტოს #01/01–25/43683 წერილი

ორგანიზაციამ სამინისტროსგან შემდეგი საჯარო ინფორმაციის მიღება მოითხოვა:

1. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
2. **რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქველმოქმედო ვახშამზე შემოსილი თანხების ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების შესახებ?**
3. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, უზრუნველყო თუ არა თქვენმა სამინისტრომ ადგილნაცვალი 400 ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებისთვის, რომელთა მიმართაც, გადანაწილებულ უნდა ყოფილიყო საღამოზე შემოსული თანხა?**
4. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სამინისტროს რომელი დეპარტამენტი, სტრუქტურული რგოლი და უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფდა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებთან კომუნიკაციას?**
5. **თუკი საქველმოქმედო საღამოში სამინისტროს მონაწილეობა დაუდასტურებელი ფაქტია, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობთ, ადგილნაცვალი პირების დახმარების მიზნით 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხების განაწილების/ადგილანცვალი პირების დახმარების შესახებ?**

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 2 სექტემბრის ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილი N 7/2975 წერილის თანახმად, შემდეგი სახის ინფორმაციის შესახებ გახდა ცნობილი: „თქვენი 2013 წლის 19 აგვისტოს ა.ა N198 განცხადების (N1-5924 20.08.2013წ) პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში მითითებულ კითხვებთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია არ გააჩნია.“[10]

ორგანიზაციამ 2013 წლის 19 აგვისტოს წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შემდეგი სახის ინფორმაციის უზრუნველყოფა მოითხოვა:

1. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
2. **რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშამზე შემოსილი თანხების ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების შესახებ?**
3. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, უზრუნველყო თუ არა თქვენმა სამინისტრომ ადგილნაცვალი 400 ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებისთვის, რომელთა მიმართაც, გადანაწილებულ უნდა ყოფილიყო საღამოზე შემოსული თანხა?**
4. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სამინისტროს რომელი დეპარტამენტი, სტრუქტურული რგოლი და უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფდა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებთან კომუნიკაციას?**
5. **თუკი საქველმოქმედო საღამოში სამინისტროს მონაწილეობა დაუდასტურებელი ფაქტია, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობთ, ადგილნაცვალი პირების დახმარების მიზნით 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხების განაწილების/ადგილანცვალი პირების დახმარების შესახებ?**

საქართელოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 14 სექტემბრის #1817338 წერილის თანახმად, ორგანიზაციას შემდეგი სახის ინფორმაცია მიეწოდა: თქვენი N197 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია რენი ჰარლის ფილმ „აგვისტოს ხუთი დღე“-ს პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშამთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია მოძიებულ ვერ იქნა.“[11]

---

[10] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2013 წლის 2 სექტემბრის N 7/2975 წერილი.

[11] საქართელოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2013 წლის 14 სექტემბრის #1817338 წერილი

ორგანიზაციამ 2013 წლის 19 აგვისტოს წერილობით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქველმოქმედო ვახშამის შედეგად შემოსული თანხით ადგილაცვალი პირების დახმარების ფაქტის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია მოითხოვა:

1. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
2. **რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქველმოქმედო ვახშამზე შემოსილი თანხების ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების შესახებ?**
3. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, უზრუნველყო თუ არა თქვენმა სამინისტრომ ადგილნაცვალი 400 ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებისთვის, რომელთა მიმართაც, გადანაწილებულ უნდა ყოფილიყო საღამოზე შემოსული თანხა?**
4. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სამინისტროს რომელი დეპარტამენტი, სტრუქტურული რგოლი და უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფდა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებთან კომუნიკაციას?**
5. **თუკი საქველმოქმედო საღამოში სამინისტროს მონაწილეობა დაუდასტურებელი ფაქტია, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობთ, ადგილნაცვალი პირების დახმარების მიზნით 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხების განაწილების/ადგილანცვალი პირების დახმარების შესახებ?**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 2 სექტემბრის #01/78927 წერილის თანახმად, ორგანიზაცის შემდეგი სახის ინფორმაცია მიეწპდა: „მიმდინარე წლის 20 აგვისტოს თქვენი N92836 წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2011 წლის 5 ივნისს თბილისში ფილმ „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშმის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას. გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზემოხსენებულ საქველმოქმედო საღამოს ორგანიზებაში მონაწილეობა არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.“[12]

ორგანიზაციამ 2013 წლის 19 აგვისტოს, წერილობით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს და შემდეგი სახის ინფორმაცია მოითხოვა:

1. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
2. **რა ინფორმაციას ფლობს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშამზე შემოსილი თანხების ადგილნაცვალი პირებისთვის დახმარების შესახებ?**
3. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, უზრუნველყო თუ არა თქვენმა სამინისტრომ ადგილნაცვალი 400 ოჯახის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებისთვის, რომელთა მიმართაც, გადანაწილებულ უნდა ყოფილიყო საღამოზე შემოსული თანხა?**
4. **მოგვაწოდეთ ინფორმაცია, სამინისტროს რომელი დეპარტამენტი, სტრუქტურული რგოლი და უფლებამოსილების მქონე პირი უზრუნველყოფდა საქველმოქმედო საღამოს ორგანიზატორებთან კომუნიკაციას?**
5. **თუკი საქველმოქმედო საღამოში სამინისტროს მონაწილეობა დაუდასტურებელი ფაქტია, გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ინფორმაციას ფლობთ, ადგილნაცვალი პირების დახმარების მიზნით**

[12] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 2 სექტემბრის #01/78927 წერილი

2011 წლის 5 ივნისს, თბილისში გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხების განაწილების/ადგილანცვალი პირების დახმარების შესახებ?

საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 24 ოქტომბრის MCLA 4 13 00073717 წერილის თანახმად, ორგანიზაცის შემდეგი სახის ინფორმაცია მიეწოდა: „თქვენი მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის N 11233 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშამთან დაკავშირებით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ხარჯები არ გაუწევია და საღამოს ორგანიზებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია.“[13]

ორგანიზაციამ 2013 წლის 19 აგვისტოს წერილობით მიმართა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, გიორგი ჭირაქაძეს და აღნიშნა, რომ „ახალგაზრდა ადვოკატები“ მუშაობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, 2008 წლიდან განხორციელებული სოლიდარობის გამომხატველი ფაქტების დადგენასა და შემდგომ გაშუქებაზე. შესაბამისად, საზოგადოებისთვის ცნობილი ფაქტი იყო 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში, რენი ჰარლინის ფილმ „აგვისტოს 5 დღის" პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშამის შედეგად შემოსული თანხით ადგილაცვალი პირების დახმარების შემთხვევა. ცნობილი იყო საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში ასოციაციის საორგანიზაციო წვლილიც. ამიტომაც, ორგანიზაციამ საქართველოს ბიზნეს ასოციაციიდან შემდეგი სახის ინფორმაცის მიღება მოითხოვა:

1. **ბიზნეს–ასოციაცია რა ფორმით, სტატუსით და საორგანიზაციო გამოხატულებით იღებდა მონაწილეობას 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში?**
2. **რომელი სახელმწიფო სტრუქტურები, სამინისტროები იღებდნენ მონაწილეობას საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში და რა ფორმით გამოიხატა მათი დახმარება ინიციატივის მიმართ?**
3. **რა ფორმით მონაწილეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქველმოქმედო ვახშმის ორგანიზების საკითხში?**
4. **რა რაოდენობის თანხა შეგროვდა საქველმოქმედო საღამოზე?**
5. **რა ფორმით მოხდა ადგილაცვალი პირების დახმარება შემოსული თანხით?**

საქართელოს ბიზნეს ასოციაციის 2013 წლის 11 ოქტომბრის #4/93 წერილის თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

„გაცნობებთ, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ეგიდით, საქართველოს ოკუპირებულო ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად რაიმე საქველმოქმედო აქცია არ განხორციელებულა. წერილში თქვენს მიერ ნახსენები, 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშამის მიზანი გახლდათ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირების ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, მიუხედავად მათი სტატუსისა და საცხოვრებელი ადგილისა. აღნიშნული საქველმქომედო აქციის ფარლგებში, საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახს თანაბრად გაუნაწილდა ერთი მილიონი ლარი. გამომდინარე საქველმოქმედო აქციის მიზნიდან, ჩვენ არ მოგვიხდენია ამ ოჯახების დიფერენციაცია მათი ადგილნაცვალობის სტატუსის მიხედვით. შესაბამისად, თქვენთვის საინტერესო საკითხზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2008 წლიდან დღემდე განხორციელებული სოლიდარობის გამომხატველი ფაქტების დადგენა და შემდგომი გაშუქება) სხვა ინფორმაცია არ გაგვაჩნია.“[14]

---

[13] საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2013 წლის 24 ოქტომბრის MCLA 4 13 00073717 წერილი

[14] საქართელოს ბიზნეს ასოციაციის 2013 წლის 11 ოქტომბრის #4/93 წერილი

ორგანიზაცია, 2013 წლის 25 ოქტომბერს, განმეორებით მიმართა საქართველოს ბიზნეს ასოციაციას და ასოციაციის #4/93 წერილის შინაარსიდან გამომდინარე, მეტი სიზუსტისა და კონკრეტიკისთვის, შემდეგი დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა:

1. **რომელი სახელმწიფო სტრუქტურები, სამინისტროები იღებდნენ მონაწილეობას 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში და რა ფორმით გამოიხატა მათი დახმარება ინიციატივაში?**
2. **რა რაოდენობის თანხა შეგროვდა საქველმოქმედო საღამოზე, მხოლოდ გაცემული ერთი მილიონი ლარი თუ სხვა?**
3. **რა ფორმით მოხდა ადგილაცვალი პირების დახმარება შემოსული თანხით, მოხდა საბანკო ანგარიშსწორების გზით თუ ნაღდი ანგარიშსწორებით?**

საქართელოს ბიზნეს ასოციაციის 2013 წლის 21 ნოემბრის #4/100 წერილის თანახმად, ორგანიზაციას მიეწოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- **არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა, სამინისტრო ან რომელიმე სხვა საქვეუწყებო დაწესებულება არანაირი ფორმით არ იღებდა მონაწილეობას 2011 წლის 5 აგვისტოს საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში. საქართველოს ბიზნეს ასიციაციას არ მიუღია ორგანიზაციული და მითუმეტეს არც ფინანსური დახმარება სახელმწიფო სტრუქტურებიდან ამ ღონისძიების განხორციელების მიზნებისათვის. ერთადერთ დახმარება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან გახლდათ ის, რომ მათ მოგვაწოდეს 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა ოჯახების საკონტაქტო მონაცემები.**
- **საქველმოქმედო ვახშამის ფარგლებში შეგროვებული თანხით დაიფარა ღონისძიების ორგანიზების ხარჯები და ერთი მილიონი ლარი სრულად განაწილდა 2008 წლის საქართველი-რუსეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე**
- **საქველმოქმედო ვახშამის ფარგლებში შეგროვილი თანხით იძულებით ადგილნაცვალ პირთა დახმარება არ მომხდარა. 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს ამ აქციის ფარგლებში კუთვნილი თანხები ჩაერიცხათ საბანკო ანგარიშებზე.[15]**

[15] საქართელოს ბიზნეს ასოციაციის 2013 წლის 21 ნოემბრის #4/100 წერილი

3. დასკვნა

ორგანიზაცია განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს გარემოებას, რომლის თანახმადაც, ცხადი ხდება, რომ 2011 წლის 5 მაისს, ჰოლივუდის ვარკვლავების მონაწილეობით, ფილმ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე შემოსული თანხამ ნამდვილად შეადგინა 1 მილიონ ლარზე მეტი, რომელიც საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მხრიდან მოწყობილი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახს, ასოციაციის ინფორმაციის თანახმად, საბანკო ანგარიშსწორების ფორმით, თანაბრად გაუნაწილდა, ხოლო დანრჩენილი თანხით, (უნდა ვივარაუდოდ, რომ ნახევარი მილიონი ლარით) დაიფარა ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, თუმცა ორგანიზაცია გაუმჭვირვალეს უწოდებს პროცესს, რა დროსაც, საქართველოს ბიზნეს ასოციაციას ერთი მილიონი ლარი, თანასწორუფლებიანად უნდა გადაეცა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახისთვის.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმოს საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და საქართველოს სამთავრობო უწყებების – სამინისტროების საკითხთან დაკავშირებულ გამოხმაურებებს, რა დროსაც, მკაფიო ხდება, რომ საქველმოქმედო ღონისძიებასთან, არც ერთ პროფილით დაკავშირებულ სამინისტროს, შეხება და თანამონაწილეობა არ გააჩნია. ასეთი იურიდიული მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს ბიზნეს ასოციაციის პრეზიდენტის 2011 წლის 20 სექტემბრის საჯარო ფორმით გამოხატულ განცხადებასთან,[16] რა დროსაც, გიორგი ჭირაქაძემ მიუთითებდა, რომ რუსთაველის თეატრში გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე შეგროვილი 1.5 მილიონი ლარიდან, 1 მილიონი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებზე გადანაწილდებოდა. მაშინ ასოციაციის პრეზიდენტი აცხადებდა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან – თავდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროსთან – მჭიდრო თანამშრომლობით რამდენიმე თვის განმავლობაში, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების წარმომადგენელთა სრული სია შეადგინეს. სიაში, სულ 400–მდე ოჯახი აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეული, ერთჯერადად 2500 ლარს მიიღებდა და მიმდინარეობდა კიდევ რამდენიმე ოჯახის დაზუსტება. მონიტორინგის შედეგად, ასეთი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ფაქტი, დასახელებული სამინისტროების ოფიციალური დოკუმენტებით, არ დასტურდება.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წერილით მითითებულ ფაქტობრივ გარემოებაზეც, რა დროსაც, საქველმოქმედო ღონისძიების მიმართ, ერთადერთი დახმარება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან გახლდათ ის ფაქტი, რომ მათ უზრუნველყვეს 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომში დაღუპულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა ოჯახების საკონტაქტო მონაცემები, თუმცა დასახელებული არ არის, რომელმა უფლებამოსილმა უწყებამ უზრუნველყო მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაციის მომზადება. კანონმდებლობით, ასეთი მოქმედებების განხორციელება, უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უნდა უზრუნველეყო, თუმცა წარმოდგენილი მონიტორინგის საფუძველზე, სამინისტროები საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობას, კატეგორიულად უარყოფენ.

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით და მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, უცნობია, რეალურად რამდენმა ოჯხმა მიიღო დახმარება, რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული, ვინ იყო პროცესის გამჭვირვალობაზე პასუხისმგებელი და რატომ არსებობს საქართველოს სამინისტროებსა და საქართველოს ბიზნეს ასოციაციას შორის საკითხთან დაკავშირებით, შეუსაბამო შეფასებები. შესაბამისად, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდგომ საქველმოქმედო ვახშამი, „საქართველოს ბიზნეს ასოციაციის“ ინიციატივის ნაცვლად,

[16] ორგანიზაციის პრეზიდენტის გიორგი ჭირაქაძის 2011 წლის 20 სექტმბრის ბრიფინგი.

წარმოადგენდა ხელისუფლების ღონისძიებას, საიდანაც შემოსული თანხა, ადგილნაცვალი პირების დახმარების მაგივრად, საღამოს საორგანიზაციო საკითხებს, მთლიანობაში კი ყოფილი მმართველი პარტიის ინტერესებს მოხმარდა.

4. სარეკომენდაციო ნაწილი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს ბიზნეს ასოციაციას და საკითხის მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, მოითხოვს:

1. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ გამჭვირვალე გახადოს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული მილიონ ლარზე მეტი თანხის განკარგვის დანიშნულება და მიზნობრიობა.
2. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ფაქტობრივი მტკიცებულებით დაადასტუროს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხის მიმღები 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომში დაღუპულთა 400–მდე ოჯახის ნამდვილობა.
3. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ გამოაქვეყნოს „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერის შემდეგ გამართული საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსული თანხის მიმღებთა გეოგრაფიული არეალი და შერჩევის წესი.
4. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ განმარტება გააკეთოს, ასოციაციის სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ განსხვავებული პოზიციების გამო
5. საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ ინტერესის მქონე ინფორმაცია გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ გვერდზე და უზრუნველყოს ინფორმაციის გამოქვეყნება გონივრულ ვადაში, არაუგვიანეს 7 მაისისა.

აა-07/25

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„02" 09 2013 წ

№ 7/2975

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს

(მის: ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. №7)

ბატონო არჩილ,

თქვენი 2013 წლის 19 აგვისტოს აა №198 განცხადების (№1-5924 20.08.2013წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში მითითებულ კითხვებთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია არ გააჩნია.

პატივისცემით,

კონსტანტინე ყიფიანი

ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

0112 ქ.თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ (995 32) 2 91 20 58
20 GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 91 20 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

ᲐᲐ-02/14

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01/01-25/43683
13/08/2013

43683-01/01-25-2-201308131501

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები"-ს თანადამფუძნებელს
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს

ბატონო არჩილ,

თქვენი წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2011 წლის 5 ივნისს, თბილისში, რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს 5 დღე" პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშამს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში რაიმე სახის ინფორმაცია არ მოიპოვება.

პატივისცემით

ზურაბ ფაცაცია

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმძღვანელობა

ა-02/26

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030136621301213

საქართველო, თბილისი 0159; აკაწირეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/78927

02 / სექტემბერი / 2013 წ.

არა "ახალგაზრდა ადვოკატების" თანადამფუძნებელს და ხელმძღვანელს
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს
მის.: ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. N7

ბატონო არჩილ,

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს თქვენი N92836 წერილის პასუხად, რომელიც ეხება 2011 წლის 5 ივნისს თბილისში ფილმ "აგვისტოს 5 დღე" პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშმის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ზემოხსენებულ საქველმოქმედო საღამოს ორგანიზებაში მონაწილეობა არ მიუღია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და
საზოგადოებასთან ურთიერთობის
სამმართველოს უფროსი

სოფიო უმიკაშვილი

ᲐᲐ-02|34

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 1817338 14. 09 2013წ.

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ახალგაზრდა ადვოკატები"-ს
თანადამფუძნებელსა და ხელმძღვანელს
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს
მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის ქ. N7

ბატონო არჩილ,

თქვენი N197 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია რენი ჰარლის ფილმ „აგვისტოს ხუთი დღე"-ს პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშამთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში ინფორმაცია მოძიებულ ვერ იქნა.

პატივისცემით,

ხათუნა ქველაძე

ადმინისტრაციის

საჯარო ინფორმაციის გაცემის ბიუროს უფროსი

Ď -22/81

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

MINISTRY OF CORRECTIONS AND LEGAL ASSISTANCE OF GEORGIA

MCLA 4 13 00073717

24/10/2013

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
დამფუძნებელს და ხელმძღვანელს,
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს

ბატონო არჩილ,

თქვენი მიმდინარე წლის 4 ოქტომბრის N11233 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშამთან დაკავშირებით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ხარჯები არ გაუწევია და საღამოს ორგანიზებასთან დაკავშირებით ინფორმაცია არ გააჩნია.

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / ადმინისტრაციული
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
მარიამ ჯაჯანიძე

0177, ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. №42,
42 Kazbegi ave. Tbilisi 0177 Georgia. www.mcla.gov.ge

ა ა -02/71

11.10.2013წ.
#4/93

BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელს
ბატონ არჩილ კაიკაციშვილს

ბატონო არჩილ,

თქვენი ამა წლის 19 აგვისტოს წერილთან (ა.ა. # 196) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ეგიდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად რაიმე საქველმოქმედო აქცია არ განხორციელებულა;

წერილში თქვენს მიერ ნახსენები, 2011 წლის 5 ივნისის საქველმოქმედო ვახშამის მიზანი გახლდათ 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომში დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირების ოჯახებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, მიუხედავად მათი სტატუსისა და საცხოვრებელი ადგილისა.

აღნიშნული საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, საქართველო–რუსეთის ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახს თანაბრად გაუნაწილდა ერთი მილიონი ლარი.

გამომდინარე საქველმოქმედო აქციის მიზნიდან, ჩვენ არ მოგვიხდენია ამ ოჯახების დიფერენციაცია მათი ადგილნაცვალობის სტატუსის მიხედვით, შესაბამისად თქვენთვის საინტერესო საკითხზე (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ 2008 წლიდან დღემდე განხორციელებული სოლიდარობის გამომხატველი ფაქტების დადგენა და შემდგომი გაშუქება) სხვა ინფორმაცია ჩვენ არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

გიორგი ასათიანი

აღმასრულებელი დირექტორი

www.bag.ge

კოტე მარჯანიშვილის ქ. 5
თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: 995 32 2202215
ელ. ფოსტა: info@bag.ge

ს-02/90
26/11/2013

BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

21.11.2013წ.
#4/100

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელს
ქალბატონ მარიკა არევაძეს

ქალბატონო მარიკა,

თქვენი ამა წლის 25 ოქტომბრის წერილთან (ა.ა. # 267) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ

1. არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა, სამინისტრო ან რომელიმე სხვა საქვეუწყებო დაწესებულება არანაირი ფორმით არ იღებდა მონაწილეობას 2011 წლის 5 აგვისტოს საქველმოქმედო ვახშმის მომზადებაში. საქართველოს ბიზნეს ასოციაციას არ მიუღია არც ორგანიზაციული და მითუმეტეს არც ფინანსური დახმარება სახელმწიფო სტრუქტურებიდან ამ ღონისძიების განხორციელების მიზნებისათვის;

ერთადერთი დახმარება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან გახლდათ ის, რომ მათ მოგვაწოდეს 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომში დაღუპულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა ოჯახების საკონტაქტო მონაცემები;

2. საქველმოქმედო ვახშამის ფარგლებში შეგროვებული თანხით დაიფარა ღონისძიების ორგანიზების ხარჯები და ერთი მილიონი ლარი სრულად განაწილდა 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე;

3. საქველმოქმედო ვახშამის ფარგლებში შეგროვილი თანხით იძულებით ადგილნაცვალ პირთა დახმარება არ მომხდარა. 2008 წლის საქართველო–რუსეთის ომში დალუპულთა ოჯახებს ამ აქციის ფარგლებში კუთვნილი თანხები ჩაერიცხათ საბანკო ანგარიშებზე.

პატივისცემით,

გიორგი ასათიანი

აღმასრულებელი დირექტორი

კოტე მარჯანიშვილის ქ. 5
თბილისი 0102, საქართველო
ტელ.: 995 32 2202215
ელ.ფოსტა: info@bag.ge

www.bag.ge